


## ეკონომიკური ზრდის ტემპი



2017

რეალური მშპ



3.8%

წვლილი ზრდაში

რეალური  
მოხმარება  
რეალური  
ინვესტიციები



+0.2%



+4.9%

წმინდა  
ექსპორტი



- 1.3 %

# მაკროეკონომიკური პროგნოზები

## პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

## მაკროეკონომიკური პროგნოზები

დეკემბერი, 2016 წელი

**ანგარიშის შესახებ:** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოადგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ალტერნატიული საპროგნოზო მაჩვენებლები.

**შენიშვნა:** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზების განახლება განხორციელდება წელიწადში ორჯერ დაგეგმილი საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:

[pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge); [lkavtaradze@parliament.ge](mailto:lkavtaradze@parliament.ge);  
[vchalapeikrishvili@parliament.ge](mailto:vchalapeikrishvili@parliament.ge)

## შინაარსი

პროგნოზირების მოდელის შესახებ.....	3
რეალური სექტორი .....	4
ფისკალური სექტორი .....	6
საგარეო სექტორი .....	9
მონეტარული სექტორი .....	11
დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები .....	13

## პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავსებადი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისი მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრიცხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შეზღუდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი, დროში ცვლადი პარამეტრული მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოდგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2016Q2 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.


## რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკა 3.8%-ით გაიზრდება. აღნიშნული პროგნოზი ემყარება როგორც შიდა ეკონომიკურ აქტივობას, ასევე ითვალისწინებს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის წინასწარ შეფასებებსა და პროგნოზებს.

მშპ-ს 3.8%-იანი პროგნოზი 0.7%-ლი პუნქტით ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2016 წლის ივნისში გამოქვეყნებული პროგნოზის მაჩვენებელზე. აღნიშნული შემცირება ძირითადად გამოიწვია შემდეგმა ორმა ფაქტორმა: პირველი, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეამცირეს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, და მეორე, 2016 წლის მეორე ნახევარში გამოვლენილი რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი მცირედით ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ ივნისში გაკეთებულ შეფასებაზე. აღნიშნულმა იმოქმედა 2016 წლის ეკონომიკურ ზრდის ტემპზე და საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი დაკორექტირდა შემცირების მიმართულებით.

ამასთანავე, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017-2020 წლების საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპი 5.1%-ს შეადგენს, ხოლო ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანალოგიური მაჩვენებელი 5.4%-ს<sup>1</sup> უტოლდება.

რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს, ერთ სულ მოსახლეზე, მისი საპროგნოზო მოცულობა 2017 წლისათვის 9,500 ლარს, ხოლო 2020 წლისათვის - 12,536 ლარს შეადგენს.<sup>2</sup>




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, 2013-2020 წწ.

დიაგრამა 2: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მლნ ლარი, 2013-2020წწ.


<sup>1</sup> ფინანსთა სამინისტროს პროგნოზი გულისხმობს 2017-2020წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად 2016 წლის 30 ნოემბერს წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2015 წელს, მოსახლეობის მონაცემების განახლებასთან დაკავშირებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შესაბამისად შეასწორა 2002-2014 წლის მოსახლეობის მონაცემების მწკრივი, რაც შესაბამისად იძლევა მშპ-ის, ერთ სულ მოსახლეზე, ფაქტიური მაჩვენებლების განსხვავებულ დონეებს.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის მოსალოდნელია მშპ-ის დეფლატორის 3.5%-მდე (იხ. დიაგრამა #3), ხოლო სამომხმარებლო ფასების ინფლაციის 4.3%-მდე ზრდა (იხ. დიაგრამა #4), რაც შესაბამისად 2.5%-ლი და 2%-ლი პუნქტით მეტია 2016 წლის მოსალოდნელ მაჩვენებლებზე. აღნიშნული ზრდა ძირითადად უკავშირდება ინფლაციური მოლოდინების ზრდას. კონკრეტულად, მაღალი ინფლაციური მოლოდინი განპირობებულია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების შესაძლო მატებით და 2017 წლისათვის აქციზის გადასახადის განაკვეთების ზრდით.




დიაგრამა 3: მშპ-ს დეფლატორი, 2013-2020 წწ.




დიაგრამა 4: სფი-ის ინფლაცია, პერიოდის საშუალო, 2013-2020 წწ.

მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ კომპონენტს მთლიანი ინვესტიციები წარმოადგენს, რომლის წყარო ეროვნული დანაზოგებია და რომელთა ცვლილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, კერძო ინვესტიციების მოცულობა 2017 წლისათვის მშპ-ის 30.8%-ს შეადგენს და 2017-2020 წლებისათვის მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო კერძო დანაზოგების საპროგნოზო მოცულობა %-ად მშპ-თან 2017 წლისათვის 21.1 % შეადგენს და ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება<sup>3</sup>.



დიაგრამა 5: კერძო ინვესტიციები %-ად მშპ-თან



დიაგრამა 6: კერძო დანაზოგები %-ად მშპ-თან


<sup>3</sup> შენიშვნა: საბიუჯეტო ოფისის კერძო ინვესტიციებისა და დანაზოგების პროგნოზები არ არის შედარებული ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული იმავე მაჩვენებლების პროგნოზებს, განსხვავებული აღრიცხვის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე.

## ფისკალური სექტორი


ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2001) მოცულობა, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. **პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2001) მოსალოდნელი მოცულობა -1.5%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა #7). ამასთანავე, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი (რომელიც ბიუჯეტის მუხლებით რეკლასიფიკაციით მიიღება) 2017 წლისათვის -5.5% შეადგენს (იხ. დიაგრამა #8).**

აღნიშნული მაჩვენებლები განსხვავდება BDD-ით განსაზღვრულ მაჩვენებლისაგან როგორც ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის განსხვავებული საპროგნოზო მაჩვენებლების გავლენით. კერძოდ, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 9,170 მლნ ლარს შეადგენს (იხ. ცხრილი #1), რაც ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ პროგნოზზე მცირედით ნაკლებია.

ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ 2017 წლიდან ძალაში შედის მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის გავლენის შეფასება ეყრდნობა საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებულ მოდელს და განსხვავდება ფინანსთა სამინისტროს შეფასებისგან.<sup>4</sup> საგადასახადო შემოსავლების პროგნოზში გათვალისწინებულია 2017 წლიდან აქციზის გადასახადის განაკვეთების ზრდა. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, მოდელში საბაზისო სცენარად განსაზღვრულია, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში განსაზღვრული, ფისკალური გეგმა საშუალოვადიანი პერიოდისათვის (იხ. დიაგრამა #12).




დიაგრამა 7: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, %-ად მშპ-თან, 2013-2020 წწ.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის ფისკალური ბალანსი %-ად მშპ-თან, 2013-2020 წწ.


<sup>4</sup> იხ. [საბიუჯეტო ოფისის პუბლიკაცია მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ](#).



	2016	2017	2018	2019	2020
<b>საგადასახადო შემოსავლები</b>	<b>8862.9</b>	<b>9170.3</b>	<b>9998.8</b>	<b>11116.6</b>	<b>12133.9</b>
პირდაპირი გადასახადები	3895.2	3575.5	4126.7	4712.8	5221.7
არაპირდაპირი გადასახადები	4967.7	5594.7	5872.1	6403.7	6912.2
სხვა გადასახადები	28.2	54.9	75.3	68.4	42.7


დიაგრამა 9: საგადასახადო შემოსავლები 2017 წ. ცხრილი 1: საგადასახადო შემოსავლები, მლნ ლარი, 2016-2020 წწ.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით 2017 წლისათვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა %-ად მშპ-თან 26%-ს შეადგენს და 2017-2020 წლებისათვის მშპ-ის მიმართ საშუალოდ 26.1%-ის ფარგლებში მოსალოდნელი (იხ. დიაგრამა #10).




დიაგრამა 10: საგადასახადო შემოსავლები %-ად მშპ-თან, 2013-2020 წწ.

დიაგრამა 11-ზე წარმოდგენილია მოგების გადასახადის პროგნოზი, რომელშიც გათვალისწინებულია 2017 წელს ზემოთ ნახსენები მოგების გადასახადის რეფორმის ზეგავლენა და შედარებულია საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებულ მოგების გადასახადის პროგნოზს რეფორმის არ არსებობის პირობებში (დიაგრამა 11). დამატებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მოგების გადასახადის პროგნოზში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან განაწილებული მოგების გადასახადი შეეხება საფინანსო სექტორს.




დიაგრამა 11: მოგების გადასახადი, მლნ ლარი, 2015-2020 წწ.



დიაგრამა 12: ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა, %-ად მშპ-თან, 2012-2020წწ. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ზემოაღნიშნული პროგნოზების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, სახელმწიფო ვალის მოცულობა (%-ად მშპ-თან) 2017 წლისათვის 42.7%-ს შეადგენს.<sup>5</sup> ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ფარდობის კლებადი ტენდენცია, ძირითადად საგარეო ვალის მოცულობის კლების გავლენით.




დიაგრამა 13: სახელმწიფო ვალი, % მშპ-თან, 2013-2020 წწ.

<sup>5</sup> სახელმწიფო ვალის მოცულობა აღებულია ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტიდან და მშპ-თან ფარდობის განსხვავებული მაჩვენებელი განპირობებულია ნომინალური მშპ-სა და მოსალოდნელი გაცვლითი კურსი განსხვავებული მაჩვენებლებით.


## საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 11.8%-ს, ხოლო ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) განსაზღვრული ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზი მშპ-ის 12.7%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის საშუალო მოსალოდნელი მოცულობა მშპ-ის 9.7%-ს უტოლდება.



დიაგრამა 14: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, %-ად მშპ-თან, 2013-2020 წწ.


ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე წლისთვის სავაჭრო ბალანსის მოცულობა %-ად მშპ-თან -16.9%-ს უტოლდება<sup>6</sup> და საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მისი ცვალებადი ტენდენცია, ხოლო ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროგნოზით, სავაჭრო ბალანსის მოცულობა %-ად მშპ-თან -19.2%-ს შეადგენს და 2017-2020 წლებისათვის მცირედი კლებადი ტენდენციით ხასიათდება.



დიაგრამა 15: სავაჭრო ბალანსი %-ად მშპ-თან, 2013-2020 წწ.

<sup>6</sup> საბიუჯეტო ოფისის იმპორტის ფაქტობრივ მონაცემსა და პროგნოზში გამოთიშულია C კეპატიტის მედიკამენტების იმპორტი.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების (ძირითადად მოიცავს უცხოური და სხვა ინვესტიციების წმინდა ნაკადებს) მოსალოდნელი მოცულობა 1,331 აშშ მლნ დოლარს შეადგენს და 2017-2020 წლებისათვის ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2017-2020 წლებისათვის მოსალოდნელია წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების შესამჩნევი კლებადი ტენდენცია.




დიაგრამა 16: წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ.

## მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის ფულის მასის M3-ის %-ული ზრდა 15.9%-ს შეადგენს და 17,323 მლნ ლარს უტოლდება, რაც მცირედით ჩამორჩება ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პროგნოზს (იხ. დიაგრამა #17), ხოლო ფულის მასის M2-ის %-ული ზრდა 14.7%-ს შეადგენს და 6,905 უტოლდება, რაც ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს პროგნოზთან (იხ. დიაგრამა #18).




დიაგრამა 17: ფულის მასა M3, % ზრდა, 2013-2020 წწ.



დიაგრამა 18: ფულის მასა M2, % ზრდა, 2013-2020 წწ.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 8%-იანი ზრდა და შესაბამისად მისი მოცულობა 2,717 მლნ აშშ დოლარს (3.6 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2017-2020 წლების საშუალო მოცულობა 3,207 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (3.5 თვის იმპორტის ჯერადი).



დიაგრამა 19: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2017 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებლის მოცულობა 20,284 მლნ ლარს შეადგენს, რაც მეტია ძირითადი მონაცემების

და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ პროგნოზთან შედარებით. თუმცა 2017-2020 წლებისათვის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი მნიშვნელოვნად აღემატება ზემო აღნიშნული დოკუმენტით წარმოდგენილ პროგნოზებს.



დიაგრამა 20: კერძო სექტორზე გაცემული სესხები, მლნ ლარი, 2013-2020 წწ

## დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
<b>რეალური სექტორი</b>	<b>%-ული ზრდა</b>							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	3.32%	4.70%	2.88%	2.63%	3.82%	4.94%	5.54%	5.93%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	-0.5%	3.1%	4.0%	2.3%	4.3%	4.9%	4.3%	4.1%
მშპ დეფლატორი	-0.7%	3.7%	5.9%	0.9%	3.5%	3.7%	4.1%	4.2%
<b>ნომინალური მშპ</b>								
მილიონი ლარი	26,847	29,150	31,756	32,860	35,343	38,453	42,252	46,639
მილიონი აშშ დოლარი	16,131	16,498	13,968	13,987	15,126	16,519	18,790	21,089
<b>მშპ ერთ სულ მოსახლეზე</b>								
ლარი	7,143	7,870	8,551	8,832	9,500	10,336	11,357	12,536
დოლარი	4,292	4,454	3,761	3,760	4,066	4,440	5,050	5,669
	<b>% მშპ-თან</b>							
აბსორბცია	113.0	117.5	116.5	116.4	116.8	116.3	114.6	112.3
მობმარება	88.2	87.7	84.5	83.5	81.2	79.9	77.6	75.1
კერძო	79.2	78.6	75.6	73.7	72.4	71.6	69.9	68.0
სახელმწიფო	9.0	9.1	8.8	9.8	8.8	8.3	7.7	7.1
ინვესტიციები	24.8	29.8	32.1	32.9	35.6	36.4	37.0	37.2
კერძო	19.6	24.9	26.5	29.1	30.8	31.3	31.6	31.8
სახელმწიფო	5.2	5.0	5.6	3.8	4.8	5.2	5.4	5.4
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.0	19.7	21.2	20.3	23.8	25.6	27.8	30.1
სახელმწიფო	3.6	2.6	3.4	2.9	2.7	4.2	5.8	6.7
კერძო	15.4	17.1	17.8	17.4	21.1	21.4	22.0	23.4
<b>ფისკალური სექტორი</b>	<b>მლნ ლარი</b>							
შემოსავლები და გრანტები	7,434	8,119	8,963	9,763	10,060	10,966	12,092	13,116
საგადასახადო შემოსავლები	6,659	7,242	8,011	8,863	9,170	9,999	11,117	12,134
პირდაპირი გადასახადები	3,000	3,038	3,565	3,895	3,576	4,127	4,713	5,222
არაპირდაპირი გადასახადები	3,659	4,204	4,445	4,968	5,595	5,872	6,404	6,912
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	7,861	8,813	9,659	9,966	10,756	11,615	12,605	13,485
მიმდინარე ხარჯები	6,469	7,369	7,883	8,817	9,094	9,350	9,650	9,985
კაპიტალური ხარჯები	1,392	1,444	1,602	1,760	1,684	1,735	1,780	1,830
საოპერაციო სალდო	965	750	1,080	946	966	1,616	2,442	3,131
მთლიანი სალდო	-301.1	-579.7	-341.1	102.4	-535.8	-499.1	-372.7	-239.2
სახელმწიფო ვალი	9,313	10,397	13,161	14,108	15,082	16,455	17,341	18,383
საგარეო	7,296	7,827	10,334	10,897	11,520	12,432	12,914	13,651
საშინაო	2,017	2,570	2,827	3,211	3,562	4,022	4,427	4,732

ფისკალური ბალანსი	-706	-940	-1176	-1396	-1958	-1663	-1527	-1188
	<b>% მშპ-თან</b>							
შემოსავლები და გრანტები	27.7%	27.9%	28.2%	29.7%	28.5%	28.5%	28.6%	28.1%
საგადასახადო შემოსავლები	24.8%	24.8%	25.2%	27.0%	25.9%	26.0%	26.3%	26.0%
პირდაპირი გადასახადები	11.2%	10.4%	11.2%	11.9%	10.1%	10.7%	11.2%	11.2%
არაპირდაპირი გადასახადები	13.6%	14.4%	14.0%	15.1%	15.8%	15.3%	15.2%	14.8%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	29.3%	30.2%	30.4%	30.3%	30.4%	30.2%	29.8%	28.9%
მიმდინარე ხარჯები	24.1%	25.3%	24.8%	26.8%	25.7%	24.3%	22.8%	21.4%
კაპიტალური ხარჯები	5.2%	5.0%	5.6%	3.5%	4.7%	5.9%	7.0%	7.5%
საოპერაციო სალდო	3.6%	2.6%	3.4%	2.9%	2.7%	4.2%	5.8%	6.7%
მთლიანი სალდო	-1.1%	-2.0%	-1.1%	0.3%	-1.5%	-1.3%	-0.9%	-0.5%
სახელმწიფო ვალი	34.7%	35.7%	41.4%	42.9%	42.7%	42.8%	41.0%	39.4%
საგარეო	27.2%	26.8%	32.5%	33.2%	32.6%	32.3%	30.6%	29.3%
საშინაო	7.5%	8.8%	8.9%	9.8%	10.1%	10.5%	10.5%	10.1%
ფისკალური ბალანსი	-2.6%	-3.2%	-3.7%	-4.2%	-5.5%	-4.3%	-3.6%	-2.5%

## მონეტარული სექტორი

%-ად მშპ-თან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

წმინდა უცხოური აქტივები	4.5%	3.2%	6.9%	6.9%	6.3%	5.9%	5.7%	5.1%
წმინდა საშინაო აქტივები	32.2%	35.2%	35.1%	38.6%	42.7%	47.4%	52.9%	58.8%
ფართო ფული M3 (%-ული ზრდა)	24.5%	13.8%	19.3%	12.1%	15.9%	18.2%	20.9%	20.3%
ფართო ფული M2 (%-ული ზრდა)	33.2%	9.1%	-2.5%	10.2%	8.8%	14.1%	19.3%	18.6%
კერძო სექტორის დაკრედიტება (%-ული ზრდა)	18.5%	23.2%	19.4%	11.3%	15.1%	16.9%	18.7%	19.2%

## საგარეო სექტორი

%-ად მშპ-თან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-5.8%	-10.6%	-11.9%	-12.6%	-11.7%	-10.8%	-9.2%	-7.2%
სავაჭრო ბალანსი	-12.9%	-18.1%	-17.6%	-15.8%	-16.9%	-16.4%	-15.2%	-12.6%
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	962.2	1377.9	1886.3	1348.5	1330.8	1425.9	1551.3	1733.1
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	2823.4	2699.2	2520.6	2774.9	2717.2	2879.2	3217.2	3526.6
იმპორტის ჯერადი	3.3	3.7	3.5	4.0	3.6	3.5	3.5	3.5

ცხრილი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზები.